

არდაჰანის უნივერსიტეტი

უცხოელ სტუდენტთა განცხადების ჩაბარების, მიღების და ჩარიცხვის წესები

აბიტურიენტების საყურადღებოდ

როგორც თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში, ასევე უცხოეთიდან აბიტურიენტებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ არდაჰანის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.ardahan.edu.tr) განთავსებული **UBYS – მენიუ – საერთაშორისო სტუდენტთა გამოცდის განაცხადის** ბმულის საშუალებით.

განაცხადის ვადის გასვლის შემდეგ საბუთები აღარ მიიღება.

ზოგადი უნარების გამოცდა განხორციელდება **თურქულ, ინგლისურ, რუსულ, ქართულ და არაბულ ენებზე.**

თურქული ენის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩასაბარებლად **პირველადი განაცხადებები** განხორციელდება არდაჰანის უნივერსიტეტში **TÖMER**-ის (თურქული ენის შემსწავლელი ცენტრის) მიერ **20.07.2020 – 25.09.2020** თარიღებში ქალაქ არდაჰანში.

თურქული ენის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩასაბარებლად **დამატებითი განაცხადები** განხორციელდება არდაჰანის უნივერსიტეტში **TÖMER**-ის (თურქული ენის შემსწავლელი ცენტრის) მიერ **29.09.2020 – 14.12.2020** თარიღებში ქალაქ არდაჰანში.

(2) აბიტურიენტები:

(a) უნდა იყოს დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ან კურსდამთავრებული

1) უცხო ქვეყნის მოქალაქეები

2) თურქეთის რესპუბლიკაში დაბადებული, მაგრამ თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის საფუძველზე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასული მოქალაქეების არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც თურქეთის მოქალაქეობის კანონის შესაბამისად ოფიციალურად არიან გათანაბრებული თურქეთში მოქმედ კანონებთან.

3) ყოფილი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებმაც შემდეგ მიიღეს თურქეთის მოქალაქეობა / ან ორმაგი მოქალაქეობის მქონენი.

4) თურქეთის მოქალაქეები, რომლებმაც, გარდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკისა, მიიღეს განათლება რომელიმე სხვა ქვეყანაში (ამ სტატუსს ექვემდებარები ან ის აბიტურიენტებიც, რომლებმაც, გარდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკისა, განათლება მიიღეს რომელიმე სხვა ქვეყანაში მოქმედ თურქულენოვან სკოლაში)

5) ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკაში, აქვე მიიღეს ზოგადი განათლება და ჩაბარებული GCE AL (The General Certificate of Education – Advanced Level) გამოცდა და მიღებული აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი, ან 2005-2010 წლებში სწავლობდნენ უცხოეთის საჯარო სკოლებსა და კოლეჯებში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა, ან ჩააბარეს გამოცდა და სერთიფიკატის მიღებამდე აქვთ ცნობა გამოცდის ჩაბარების შესახებ.

b) განხილვას არ ექვემდებარება შემდეგი აბიტურიენტების დოკუმენტაცია

* 1) თურქეთის მოქალაქე აბიტურიენტის დოკუმენტაცია, რომელმაც ზოგადი განათლება მიიღო თურქეთში და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში

* 2) ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის მოქალაქეები (გარდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის იმ მოქალაქეებისა, რომლებმაც ზოგადი განათლება მიიღეს ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკაში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა და მიღებული აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი, ან 2005-2010 წლებში სწავლობდნენ უცხოეთის საჯარო სკოლებსა და კოლეჯებში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა, ან ჩააბარეს გამოცდა და სერთიფიკატის მიღებამდე აქვთ ცნობა გამოცდის ჩაბარების შესახებ).

* 3) ამ მუხლის მეორე (ა) პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად პირველი მოქალაქეობით თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, შემდეგ უკვე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი (იმათ გარდა, ვინც ზოგადი განათლება მიიღო ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის გარეთ რომელიმე სხვა ქვეყანაში / განათლება მიიღეს ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის გარეთ რომელიმე სხვა ქვეყანაში მოქმედ თურქულენოვან სკოლაში)

* 4) ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეობა არის ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის (გარდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის იმ მოქალაქეებისა, რომლებმაც ზოგადი განათლება მიიღეს ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკაში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა და მიღებულია ქვთ შესაბამისი სერთიფიკატი, ან 2005-2010 წლებში სწავლობდნენ უცხოეთის საჯარო სკოლებსა და კოლეჯებში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა ან ჩააბარეს გამოცდა და სერთიფიკატის მიღებამდე აქვთ ცნობა გამოცდის ჩაბარების შესახებ).

* 5) თურქეთის იმ მოქალაქეების, რომელთაც ზოგადი განათლება მიღებული აქვთ თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედ საელჩოებთან არსებულ სკოლებში, ან თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედ უცხოენოვან სკოლებში; ან ამ წესის მეორე მუხლის (ა) პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად პირველი მოქალაქეობით თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, შემდეგ უკვე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი.

აბიტურიენტებს, რომლებმაც განაცხადი შეიტანეს **20.07.2020–25.09.2020** თარიღებში, გამოცდის ჩაბარება შეეძლება **20.07.2020–25.09.2020** თარიღებში არდაჰანში ჩამოსვლის დღეს სამუშაო საათებში. ძირითადი კონტინგენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შედეგები გამოცხადდება **28.09.2020** წელს, მათი რეგისტრაცია კი განხორციელდება **15.12.2020** თარიღამდე.

აბიტურიენტებს, რომლებმაც დამატებითი ვაკანტურ ადგილებისთვის განაცხადი შეიტანეს, მათი დამატებითი გამოცდები, დამატებითი ჩარიცხვის პროცედურები და დამატებითი რეგისტრაცია განხორციელდება **29.09.2020–15.12.2020** თარიღებში.

უნივერსიტეტში **პირველადი განმაცხადებელი** აბიტურიენტებისთვის ჩატარდება **20.07.2020–25.09.2020** თარიღებში გამოცდა ARÜYÖS (არდაჰანის უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტთა შერჩევის გამოცდა) (თურქული ენის საკვალიფიკაციო გამოცდა). ამ გამოცდაზე აბიტურიენტმა უნდა მიიღოს 100 ქულიდან არანაკლებ 50 ქულა. აბიტურიენტებს, რომლებმაც თურქული ენის საკვალიფიკაციო გამოცდიდან ვერ მიიღებენ მინიმუმ ქულას, ასევე იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც არ აქვთ თურქეთში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თურქული ენის

საკვალიფიკაციო სერტიფიკატი, უნივერსიტეტში ეძლევათ TÖMER-ის (თურქული ენის შემსწავლელი ცენტრის) მიერ ერთი წლით სავალდებულო თურქული ენის მოსამზადებელი განათლება.

უნივერსიტეტში დამატებითი განმაცხადებელი აბიტურენტებისთვის ჩატარდება 29.09.2020–14.12.2020 თარიღებში გამოცდა ARÜYÖS (არდაჰანის უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტთა შერჩევის გამოცდა) (თურქული ენის საკვალიფიკაციო გამოცდა). ამ გამოცდაზე აბიტურიენტმა უნდა მიიღოს 100 ქულიდან არანაკლებ 50 ქულა. აბიტურიენტებს, რომლებმაც თურქული ენის საკვალიფიკაციო გამოცდიდან ვერ მიიღებენ მინიმუმ ქულას, ასევე იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც არ აქვთ თურქეთში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თურქული ენის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი, უნივერსიტეტში ეძლევა TÖMER-ის (თურქული ენის შემსწავლელი ცენტრის) მიერ ერთი წლით სავალდებულო თურქული ენის მოსამზადებელი განათლება.

თურქეთში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თურქული ენის საკვალიფიკაციო სერტიფიკატის მქონე აბიტურიენტები არ ჩააბარებენ არდაჰანის უნივერსიტეტში თურქული ენის საკვალიფიკაციო გამოცდას.

უნივერსიტეტში პირველადი განმაცხადებელი აბიტურენტებისთვის ჩატარდება 20.07.2020–25.09.2020 თარიღებში გამოცდა ARÜYÖS (არდაჰანის უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტთა შერჩევის გამოცდა) (ზოგადი უნარები). ამ გამოცდაზე აბიტურიენტმა უნდა მიიღოს 100 ქულიდან არანაკლებ 40 ქულა იმისთვის, რომ ჩაირიცხოს უნივერსიტეტის სათანადო პროგრამაზე.

უნივერსიტეტში დამატებითი განმაცხადებელი აბიტურენტებისთვის ჩატარდება 29.09.2020–14.12.2020 თარიღებში გამოცდა ARÜYÖS (არდაჰანის უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტთა შერჩევის გამოცდა) (ზოგადი უნარები). ამ გამოცდაზე აბიტურიენტმა უნდა მიიღოს 100 ქულიდან არანაკლებ 40 ქულა იმისთვის, რომ ჩაირიცხოს უნივერსიტეტის სათანადო პროგრამაზე.

ჩარიცხვისას მხედველობაში არ მიიღება თურქულის ტესტში მიღებული ქულები.

თურქული ენის საკვალიფიკაციო დონეები:

a) C1 და C2 დონე: თურქული ენის ცოდნის დონე არის საკმარისი, უფლება ეძლევა დარეგისტრირდეს არჩეულ პროგრამაზე.

b) B1 და B2 დონე: თურქული ენის ცოდნის დონე არ არის საკმარისი. თუმცა, მოკლე დროში შესაძლებელია განავითაროს. უფლება ეძლევა დარეგისტრირდეს არჩეულ პროგრამაზე თურქულ ენაში შესაბამისი კურსის გავლის პირობით. სტუდენტი ვალდებულია არა უგვიანეს მესამე სასწავლო წლის დასაწყისამდე ფლობდეს C1–C2 დონეებს, რაც უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად. იმ შემთხვევაში, თუ მათი დონე კვლავ დარჩება B1–B2 დონეზე, არ მიეცემათ უფლება გააგრძელონ სწავლა მანამ, სანამ არ მიაღწევენ C1–C2 დონეებს.

c) A1 და A2 დონე: თურქული ენის ცოდნის დონე არ არის საკმარისი. ამ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია არა უგვიანეს მესამე სასწავლო წლის დასაწყისამდე ფლობდეს C1–C2 დონეებს, რაც უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად. სტუდენტი, რომელიც მიაღწევს C1–C2 დონეებს, მათზე იმოქმედებს a მუხლი. ხოლო, სტუდენტი რომელიც მიაღწევს B1–B2 დონეებს, მათზე იმოქმედებს b მუხლი.

არდაჰანის უნივერსიტეტში უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვისთვის გათვალისწინებული საკვალიფიკაციო გამოცდის (ARÜYÖS) დონეების და შესაბამის ქულათა ცხრილი:

| ARÜYÖS თურქული ენის საკვალიფიკაციო დონეები | ქულათა რაოდენობა | განმარტება |
|---|---------------------|---|
| C2 | 90–100 | საკმარისად ფლობს თურქულს |
| C1 | 80–89 | საკმარისად ფლობს თურქულს |
| B2 | 65–79 | მოკლე ვადაში მიაღწევს თურქულის საკმარისად ფლობის დონეს |
| B1 | 50–64 | მოკლე ვადაში მიაღწევს თურქულის საკმარისად ფლობის დონეს |
| A2 | 25–49 | არა საკმარისად ფლობს თურქულს |
| A1 | 0–24 | არა საკმარისად ფლობს თურქულს |

- **SAT 1** გამოცდის აუცილებელი პირობაა არა ნაკლებ 1100 ქულის მიღება და აქედან მინიმუმ 600 ქულის მიღება მათემატიკაში, გამსვლელად ითვლება 2017–2019 წწ.-ში მიღებული 2 წლის ვადის მქონე ქულები.

- **GCE (A level)** გამოცდის აუცილებელი პირობაა არჩეული პროგრამის ფარგლებში მინიმუმ 3 საკითხში A შეფასების მიღება.

- **ACT** გამოცდის აუცილებელი პირობაა მათემატიკაში (Math) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (Science Reasoning) და სულ (Composite) მინიმუმ 24 ქულის მიღება.

- იორდანიაში და პალესტინაში ჩატარებული Tawjihi გამოცდის შედეგების საშუალო არითმეტიკული საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (Scientific Stream) უნდა იყოს მინიმუმ 90 ქულა.

- ლიბანში გაცემული საბაკალავრო დიპლომის (Baccalaureat Libanais) გამოცდები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (Scientific Stream) ქულა უნდა იყოს არანაკლებ 15 ქულისა.

- საერთაშორისო საბაკალავრო დიპლომის მქონეთა დიპლომის ქულა უნდა იყოს არანაკლებ 30 ქულისა.

- ABITUR-ის დონე მაქსიმუმ 3, Matura-ს დონე მაქსიმუმ 3.

- სირიაში ჩატარებულ გამოცდებში Al-Shahada-Al Thanawiyya (Baccalaureate) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით (Scientific Stream) 240 ქულიდან საინჟინრო მიმართულებებისთვის არანაკლებ 190, ხოლო სხვა მიმართულებებისთვის არანაკლებ 175 ქულა.

- ფრანგული საბაკალავრო დიპლომის ქულა არანაკლებ 12 ქულისა.

- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩატარებული გამოცდის – აოკაო ქულა უნდა იყოს არანაკლებ 750. აქედან, არანაკლებ 540 ქულა უნდა შეესაბამებოდეს არჩეული მიმართულების საგნების ქულებს.

- **18.12.2019 წ.** არდაჰანის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატოს) გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არდაჰანის უნივერსიტეტში მისაღები უცხოელი სტუდენტთა გამოცდის შედეგები შეესაბამება **2809 ნომრის**

უმაღლესი განათლების დაწესებულებების შესახებ კანონის საფუძველზე დაარსებული სახელმწიფო უნივერსიტეტების უცხოელი სტუდენტთა გამოცდის შედეგებს.

• **11.05.2018 წ.** არდაჰანის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არდაჰანის უნივერსიტეტში მისაღები უცხოელი სტუდენტთა გამოცდის შედეგები შეესაბამება **სტამბოლის იენი იუზილის უნივერსიტეტში** მისაღები უცხოელი სტუდენტებისთვის გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის შედეგებს.

• **17.03.2017 წ.** არდაჰანის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არდაჰანის უნივერსიტეტში მისაღები უცხოელი სტუდენტთა გამოცდა შეესაბამება **სტამბოლის გედიქის უნივერსიტეტში** მისაღები უცხოელი სტუდენტებისთვის გათვალისწინებულ შესაბამის გამოცდას.

• **08.01.2020 წ.** არდაჰანის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არდაჰანის უნივერსიტეტში მისაღები უცხოელი სტუდენტთა გამოცდა შეესაბამება **კაპადოკიას უნივერსიტეტში** მისაღები უცხოელი სტუდენტებისთვის გათვალისწინებულ შესაბამის გამოცდას.

• **15.01.2019 წ.** არდაჰანის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არდაჰანის უნივერსიტეტში მისაღები უცხოელი სტუდენტთა გამოცდის შედეგები შეესაბამება **სტამბოლის საბაკათინ ზაიმის უნივერსიტეტში** მისაღები უცხოელი სტუდენტებისთვის გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის შედეგებს.

• თურქეთის უმაღლესი განათლების საბჭოს უთარღო 75850160-301.02.02.-E19541 ნომრიანი წერილის თანახმად, მიზანშეწონილია მიიღოს **აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო გამოცდა**, როგორც ARÜYÖS-ის ექვივალენტი.

• **11.09.2019 წ.** არდაჰანის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არდაჰანის უნივერსიტეტში მისაღები უცხოელი სტუდენტთა გამოცდის შედეგები შეესაბამება **ესენიურტის უნივერსიტეტში** მისაღები უცხოელი სტუდენტებისთვის გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის შედეგებს.

ARÜYÖS (არდაჰანის უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტთა შერჩევის გამოცდის) შინაარსი

არდაჰანის უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტთა შერჩევის გამოცდისთვის გათვალისწინებულია:

ზოგადი უნარების გამოცდა: 80 მატემატიკური კითხვა (საგამოცდო დრო 2 საათი)

საკვალიფიკაციო გამოცდა თურქულ ენაში: 50 კითხვა (საგამოცდო დრო 1 საათი)

თურქეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელში უცხოელ სტუდენტისათვის გათვალისწინებული აუცილებელი ფორმალობები:

- უცხოეთში შესასრულებელი ფორმალობები (საპასპორტო პროცედურები)
- თურქეთში ჩასვლის შემდეგ შესასრულებელი ფორმალობები (ბინადრობის პროცედურები)

- ბინადრობის უფლების შემდეგ შესასრულებელი ფორმალობები (დეკლარირების პროცედურები)

უცხოეთში შესასრულებელი ფორმალობები (საპასპორტო პროცედურები)

უცხოელი აბიტურიენტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტების მისამართებზე დაეგზავნებათ საინფორმაციო წერილი ჩარიცხვის შესახებ. ამ წერილის საფუძველზე მათ უნდა მიმართონ თავიანთი ქვეყნის შესაბამის ორგანოებს საპასპორტო ფორმალობების მოგვარების მიზნით.

ჩარიცხული სტუდენტები თურქეთის რესპუბლიკაში ვალდებული არიან წარმოადგინონ საბუთი სწავლის პერიოდში მათი მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ (თანხა საბანკო ანგარიშზე, სტიპენდია და ა.შ.).

საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია.

თურქეთში ჩამოსვლის შემდეგ გასავლელი აუცილებელი ფორმალობები (ბინადრობის პროცედურები)

თურქეთში შემოსვლის შემდეგ, არაუგვიანეს 30 დღისა, ქვემოთ მითითებული დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს იმ რეგიონის, სადაც უნივერსიტეტი მდებარეობს, საემიგრაციო სამსახურის უცხოელთა განყოფილებას სპეციალური ბინადრობის მოწმობის მისაღებად:

- a) უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ან/და მისი ეკვივალენტური დოკუმენტი
- b) ხანგრძლივი მოქმედების ვადის მქონე პასპორტი
- c) სწავლის პერიოდში სტუდენტის მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ საბუთი (თანხა საბანკო ანგარიშზე, სტიპენდია და ა.შ.).
- d) ყოველი წლის დასაწყისში ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებული ბინადრობის მოწმობის საფასურის დამადასტურებელი ქვითარი.
- e) საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია.

ბინადრობის მოწმობის აღების შემდეგ ჩასატარებელი ფორმალობები (დეკლარირების პროცედურები)

- a) სასწავლო მიზნით ჩამოსული უცხოელი სტუდენტები, რომელთაც მიიღეს ბინადრობის მოწმობა, ვალდებული არიან მიმართონ რეგიონის საემიგრაციო სამსახურს და აიღონ თურქეთის რესპუბლიკის პირადი ნომერი უცხოელთათვის.
- b) ბინადრობის მოწმობის ვადის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში, უცხოელი სტუდენტი, ვადის გასვლამდე 15 დღით ადრე ან ვადის გასვლიდან 15 დღის შემდეგ, ვალდებულია მიმართოს რეგიონის საემიგრაციო სამსახურს.
- c) სწავლის დასრულების, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, გაცდენების და სხვა შედეგად გამოწვეული ცვლილებების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია **15 დღით** ადრე, ხოლო მისამართის შეცვლის შემთხვევაში **48 საათით** ადრე მიმართოს რეგიონის საემიგრაციო სამსახურს.
- d) აკრძალულია ბინადრობის მოწმობაში რაიმეს ამოშლა ან ამოფხევა. მისი დაკარგვის შემთხვევაში აუცილებელია მიმართოთ რეგიონის საემიგრაციო სამსახურს ახლის მისაღებად.
- e) სტუდენტები, რომლებიც მიიღებენ რეგიონის საემიგრაციო სამსახურის მიერ გაცემულ ბინადრობის მოწმობას და პირად ნომერს, ვალდებული არიან აიღონ უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის რეგისტრაციის დროებითი ცნობა, მიმართონ რეგიონის სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს და გააკეთონ ჯანმრთელობის დაზღვევა.

საბოლოო რეგისტრაციის ვადა

- ჩვენს უნივერსიტეტში ჩარიცხული უცხოეთის მოქალაქეებს მიეცემათ დროებით სტუდენტური ცნობა. სტუდენტები გადამისამართებიან რეგიონის საემიგრაციო სამსახურში. სადაც, მათ, ცნობის წარდგენის შემდეგ, გაუმზადებენ ბინადრობის მოწმობას. ბინადრობის მოწმობის გამზადებიდან 1 დღეში მათ მიეცემათ თურქეთის რესპუბლიკის პირადი ნომერი.

- რეგიონის საემიგრაციო სამსახურის მიერ გაცემული ბინადრობის მოწმობას და პირადი ნომრის მიღების შემდეგ, მათ უმაღლესი სასწავლებლიდან კვლავ მიეცემათ სტუდენტის რეგისტრაციის დროებითი ცნობა, რითაც მიმართავენ რეგიონის სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს და 1 დღის ვადაში გააკეთებენ ჯანმრთელობის დაზღვევას.

- ბინადრობის მოწმობის, თურქეთის რესპუბლიკის პირადი ნომრის და ჯანმრთელობის დაზღვევის მქონე სტუდენტებს გაუკეთდებათ საბოლოო რეგისტრაცია სტუდენტთა რეესტრში.

- საბოლოო რეგისტრაციის გაკეთების შემდეგ მათი პირადი დოკუმენტაცია გადაეგზავნებათ შესაბამის ერთეულებების სტუდენტთა საქმეთა განყოფილებებს.

- საბოლოო რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგ, უცხოელი სტუდენტთა სასწავლო ინფორმაცია გადაეგზავნებათ რეგიონის საემიგრაციო სამსახურს და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს.

უცხოელი სტუდენტთა რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია

ზოგადი განათლების ატესტატი (დედანი) და ქვეყანაში აკრედიტებული თურქეთის საელჩოს, ან საკონსულოს მიერ თურქულ ენაზე თარგმნილი დამოწმებული ასლი.

ზოგადი განათლების ატესტატი (დედანი), რომელიც შეესაბამება თურქეთის სკოლებში / ლიცეუმებში გაცემულ ატესტატს, ან თურქეთის განათლების სამინისტროს, ან ქვეყანაში აკრედიტებული თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ გაცემული ატესტატის შესაბამისობის საბუთი (ე. წ. denklik belgesi)

ქულათა საბუთის დედანი და ქვეყანაში აკრედიტებული თურქეთის საელჩოს, ან საკონსულოს მიერ თურქულ ენაზე თარგმნილი დამოწმებული ასლი.

ოფიციალური პირადობის დოკუმენტის ან პასპორტის სათანადო გვერდის, სადაც განთავსებულია ინფორმაცია პიროვნების შესახებ, თურქულ ენაზე თარგმანი დამოწმებული ქვეყანაში აკრედიტებული თურქეთის საელჩოს ან საკონსულოს მიერ.

ARÜYOS გამოცდასთან შესაბამისი გამოცდების შედეგების შესახებ დამოწმებული დოკუმენტი.

შეტანილი საგამოცდო თანხის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (მოითხოვება რეგისტრაციის გავლისას).

საერთაშორისო ძალის მქონე უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი ან თურქული ენის საკვალიფიკაციო დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული მის ქვეყანაში აკრედიტებული თურქეთის საელჩოს ან საკონსულოს მიერ (მოეთხოვება ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10 ცალი ფოტოსურათი 3x4.

თურქეთის რესპუბლიკის პირადი ნომერი (გაიცემა თურქეთში მხარის საემიგრაციო სამსახურის მიერ 1 დღეში).

ჯანმრთელობის დაზღვევის დოკუმენტი (გაიცემა თურქეთში მხარის სოციალური დაზღვევის სამსახურის მიერ 1 დღეში).

**არდაჰანის უნივერსიტეტი
გამოცდების ჩამონათვალი,
რომლებიც უცხოელ სტუდენტებს ჩაბარების შემდეგ
ჩათვლებათ მისაღები გამოცდის ეკვივალენტურად**

| უნივერსიტეტის დასახელება | გამოცდის სახელწოდება | სენატოს გადაწყვეტილების თარიღი |
|---|--|--------------------------------|
| 2809 ნომრის უმაღლესი განათლების დაწესებულებების შესახებ კანონის საფუძველზე დაარსებული ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტი | სახელმწიფო უნივერსიტეტების YÖS გამოცდები | 18.12.2019 |
| სტამბოლის გედიქის უნივერსიტეტი | GEDİKYÖS | 07.03.2017 |
| სტამბოლის იენი იუზილის უნივერსიტეტი | İYYÜYÖS | 11.05.2018 |
| კაპატოკაიას უნივერსიტეტი | KÜNYÖS | 08.01.2020 |
| სტამბოლის საბაჰათთინ ზაიმის უნივერსიტეტი | UÖS | 15.01.2019 |
| აზერბაიჯანის სახელმწიფო გამოცდა | | უთარილო |
| ესენიურტის უნივერსიტეტი | ESYÖS | 11.09.2019 |

შენიშვნა: როგორც თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში, ასევე უცხოეთიდან აბიტურიენტებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ არდაჰანის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.ardahan.edu.tr) განთავსებული **UBYS – მენიუ – საერთაშორისო სტუდენტთა გამოცდის განაცხადის** ბმულის საშუალებით. განაცხადის ვადის გასვლის შემდეგ საბუთები აღარ მიიღება.

საკონტაქტო მონაცემები:

არდაჰანის უნივერსიტეტის რექტორატი

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი

ტელეფონი: 0478 211 7575 (შიდა ნომერი 1286)